საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №74/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 27 ივლისის №74 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №74/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- განზრახ აჭიანურებს -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

მოსამართლე -- -- არ სურს დაზარალებულად ცნობილი -- -- და მისი შვილის სასამართლო სხდომებზე დასწრება, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ პროცესებთან დაკავშირებით აწვდიან სხვა ინფორმაციას, ხოლო სასამართლო სხდომები იმართება სხვა დროს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოში, -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სს საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ 2018 წლის 17 დეკემბრის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 24 დეკემბერი, 15:00 საათი.

მოსამართლე -- -- -- -- მიმართ არსებული სს საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა 2018 წლის 19 დეკემბერს.

2019 წლის 24 ივნისს -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სათადარიგო მოსამართლედ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ამავე სასამართლოს მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- -- -- მიმართ არსებული სს საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 24 ივნისს.

-- -- სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკის მიხედვით, მოსამართლე -- -- 2019 წლის 24 ივნისიდან 2020 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით არსებითად განსახილველად გადაეცა სულ 213 სისხლის სამართლის საქმე და ასევე, 34 სხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე. მოცემულ პერიოდში მოსამართლემ დაასრულა 183 სისხლის სამართლის საქმე და 35 სხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 27 ივლისის №74 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული სამი პირობის კუმულატიური არსებობა: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საპატიო მიზეზის არარსებობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აღნიშნული მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საპროცესო ვადები ემსახურება მნიშვნელოვან ინტერესს - სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული უფლება ვერ იქნება ეფექტურად უზრუნველყოფილი თუ საქმეების განხილვა არ ხორციელდება გონივრულ ვადაში და ექვემდებარება გაჭიანურებას, რამაც შეიძლება აზრი დაუკარგოს

სამართლიანი სასამართლოს სხვა გარანტიების უზრუნველყოფას და თავისთავად სასამართლოსთვის მიმართვას უფლების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საპროცესო ვადები მნიშვნელოვან ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ხაზს უსვამს კანონმდებლის ვალდებულებას საპროცესო ვადები განსაზღვროს იმგვარად, რომ სწრაფი და დროული მართლმსაჯულების ინტერესთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. საქმის გონივრულ ვადაში გადაწყვეტასთან ერთად მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესის უზრუნველყოფის ვალდებულებას ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში მსჯელობისას.

აღნიშნული ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის სამართალწარმოებისთვის და სხვადასხვა ინტერესის დასაცავად განსხვავებულ ვადებს ითვალისწინებს და რა უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ვადის არსებით დარღვევად თავად შესაბამისი საპროცესო ვადის და ამ ვადით დაცული ინტერესის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის დადგენილი ვადის არსებით დარღვევად დროის რამდენიმე საათიანი გადაცილება ჩაითვლება, როდესაც საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტისთვის დადგენილი ვადის რამდენიმე თვიანი გადაცილებაც შეიძლება არ იყოს არსებითი. არსებითად უნდა ჩაითვალოს საპროცესო ვადის იმგვარი დარღვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის აღნიშნული ვადით დაცულ სამართლებრივ ინტერესს. შესაბამისად, დარღვევის „არსებითი“ ხასიათის დასადგენად, მნივშვნელოვანია, შეფასდეს საპროცესო კანონმდებლობის გადაცილების ხანგრძლივობა და შესაბამისი სამართალწარმოებით დაცული ინტერესი.

ამდენად საქმის განხილვის ვადის დარღვევის გადაცდომის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს აღნიშნული საქმის მიმართ რა საპროცესო ვადას ითვალისწინებდა კანონმდებლობა და მოხდა თუ არა ამ ვადის გადაცილება. მოცემულ საქმეზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მე-6 ნაწილით განსაზღვრული ვადა არ გამოიყენება იმ

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3/1/531 გადაწყვეტილება

სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან/და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

2018 წლის 17 დეკემბრის წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ. ბრალდებულ -- -- მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსამართლე -- -- სისტემატურად ნიშნავდა სხდომებს, სისხლის სამართლის საქმეზე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავდა დაცვის მხარის შუამდგომლობებს ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -- -- მიმართ არსებითი განხილვის სხდომაზე მომდევნო სხდომის ჩანიშვნის თარიღის განსაზღვრა ხდებოდა მხარეებთან შეთანხმებით, სასამართლო სხდომები იმართებოდა სწორედ აღნიშნულ თარიღებში. მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის გადადება ხდებოდა მხოლოდ არსებითი სხდომის გახსნის შემდგომ. 2020 წლის 4 მარტს ჩანიშნული სხდომა გადაიდო გახსნის გარეშე, რადგან მოსამართლე -- -- იმყოფებოდა სათათბირო ოთახში (ტ.4, ს.ფ.48).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2020 წლის 15 ივლისს 9:50 საათზე მას დაუკავშირდა კოორდინატორი და აცნობა, რომ არსებითი განხილვის სხდომა ჩატარდებოდა 2020 წლის 17 ივლისს 14:30 საათზე, იმავე დღეს 13:51 საათზე კვლავ დაუკავშირდა და უთხრა, რომ საქმის განხილვა დაიწყებოდა ნახევარ საათში. -- -- უჩნდება ეჭვი, რომ მოსამართლე -- -- არ სურს დაზარალებულად ცნობილი -- -- და მისი შვილის სასამართლო სხდომებზე დასწრება, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ პროცესებთან დაკავშირებით აწვდიან სხვა ინფორმაციას, ხოლო სასამართლო სხდომები იმართება სხვა დროს.

როგორც სასამართლო სხდომის ოქმების ანალიზიდან ირკვევა, 2020 წლის 15 მაისს ჩატარებულ არსებითი განხილვის სხდომაზე გადაწყდა მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღი 2020 წლის 15 ივლისი, 14:00 საათი, ხოლო 15 ივლისის სასამართლო სხდომაზე მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 15 სექტემბერი, რა დროსაც გაიმართა არსებითი განხილვის სხდომა.

აქვე, უნდა გავითვალისწინოთ 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გამოაცხადა პანდემიად, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და პრეზიდენტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა დეკრეტი (აღნიშნული დამტკიცდა პარლამენტის დადგენილებით 2020 წლის 21 მარტს). 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით. ამას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1 რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მოსამართლეთა მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვის გადადებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით.

ვინაიდან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანას, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ვადა არ გამოიყენება (ბრალდებულ -- -- მიმართ გამოცხადებულია ძებნა),

წარმოდგენილ მოცემულობაში, საქმის მასალების ანალიზიდან გამომდინარე მოსამართლე -- -- არ დაურღვევია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადა.

ამდენად, -- -- საჩივართან დაკავშირებით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №74/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი